მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი 9(143) 2017 წ. 1-15 მაისი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავი აღინიშნა

გამარჯვების დღესთან დაკავშირებით *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილემ* **დავით ივანიშვილმა**, *საკრებულოს თავმჯდომარემ* **ფრიდონ ბურდულმა**, *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მოვალეობის შემსრულებელმა* **არჩილ ჯაბადარმა**, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 72 წლისთავი მიულოცეს და მათთან ერთად ქ. საგარეჯოში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალური დაფა და სოფელ პატარძეულში „ვმირთა სავანე“ გვირგვინებით შეამკეს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 8 ვეტერანს, მათთვის მიძღვნილ სადღესასწაულო სადილზე, მთავრობის გადაწყვეტილებით, სპეციალურად ამ დღისთვის 600 ლარი გადაეცა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან 200 ლარი პირად საპენსიო ანგარიშზე ჩაერიცხა.

გვანცა ჯავახიშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს საკრებულოს აპარატის უფროსს **ილია სიფროშვილს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, პროფესიულ წარმატებებს და ბედნიერებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საკრებულო
გაზეთ „გარეჯის მაცნეს“
რედაქცია

სოფელ უდაბნომდე მისასვლელ ცენტრალურ გზაზე ასფალტის დაგება დაიწყო

მოხდება 8კმ გზის მონაკვეთის მოასფალტება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

სამუშაოებზე დასაქმდა 35-მდე ადამიანი.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 3 652 000 ლარამდე შეადგენს. სამუშაოები მიმდინარე წლის მარტის ბოლოს დაიწყო და რამდენიმე თვეში დასრულდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს „კავკასავტო მაგისტრალი“ ასრულებს. შეგახსენებთ, რომ გზის აღნიშნული მონაკვეთი საავალალო მდგომარეობაში იყო და როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მომლოცველებს გადაადგილება უჭირდათ.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

<u>განიხილეს 2016 წლის 12 თვის ბიუჯეტი</u>

28 აპრილი, 2017წ.

საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე <u>ფრიდონ ბურდული</u> უძღვებოდა***

სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 12 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ“ გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა <u>თინათინ ძაბილაშვილმა.</u>

როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის წლიური ანგარიშის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 109%–ით (გეგმა 10926.0 ათასი ლარი, ფაქტი 11883.5 ათასი ლარი), საკუთარი სახსრები 95%-ით, (გეგმა 186.9 ათ. ლარი, ფაქტი 176.9 ათ. ლარი).

საგასავლო ნაწილი საკუთარი სახსრების ჩათვლით შესრულდა 88%–ით (გეგმა 13247.6 ათ. ლარი, ფაქტი 11709.4 ათ.ლარი); საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 92%-ით (გეგმა 8543.4 ათ. ლარი, ფაქტი 7843.2 ათ. ლარი); საკუთარი სახსრები შესრულდა 95%-ით (გეგმა 186.9 ათ. ლარი, ფაქტი 176.9 ათ.ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი შესრულდა 16%-ით (გეგმა 180.7ათ. ლარი, ფაქტი 28.3ათ. ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 87%-ით (გეგმა 210.0 ათ.ლარი, ფაქტი 183.5ათ. ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 84%-ით (გეგმა 4053.3ათ. ლარი, ფაქტი 3408.7 ათ.ლარი).

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებული იყო 2015 წლის 25 დეკემბრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №47 დადგენილებით, მთელი წლის განმავლობაში 8-ჯერ მოხდა ცვლილებების შეტანა. ეს ცვლილება შეეხო როგორც საშემოსავლო, ისე გადასახდელების ნაწილს და საბოლოოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 3426.0 ათასი ლარით და შეადგინა 10926.0 ათასი ლარი. კონკრეტულად კი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 12 თვის განმავლობაში დამტკიცებულთან შედარებით **გაიზარდა**:

1) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფელ ხაშმში სათავე-ნაგებობის მოწყობის და შიდა ქსელის რეაბილიტაციისთვის გამოიყო – 247139 ლარი, ქ. საგარეჯოში დოდაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის – 80680ლარი, სოფელ პატარა ჩაილურში სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობისთვის 105420ლარი, სოფელ შიბლიანში მისასვლელი გზის მოასფალტების და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის – 355015ლარი, ქ.საგარეჯოში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის – 319180ლარი, ქ.საგარეჯოში, წერეთლის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის – 181924ლარი, ქ.საგარეჯოში, ქურდიანის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის – 38 304 ლარი, ქ.საგარეჯოში, ჯანგულაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის – 70 103 ლარი, სოფელ ბადიაურის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის – 84549ლარი, ქ.საგარეჯოს №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის – 64345ლარი, სოფლების – დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის – 683597ლარი, სულ კი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის აღნიშნული ფონდიდან გამოყოფილი იყო – 2 330.2 ათასი ლარით;

2) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი და ჩარიცხული იყო 1 082 163 ლარი;

3) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით 215 244,79 ლარით;

4) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით 30091,27 ლარით;

5) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით 150 572,94 ლარით;

6) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით 425 608,1 ლარით;

7) სხვა შემოსავლების გეგმა დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 13591 ლარით (შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები).

ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 2 226 630,02 ლარს.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 12 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს, 7500 ათასიდან გაიზარდა 13060,789 ათას ლარამდე. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები დამტკიცებულთან შედარებით შემცირდა 68.8 ათ. ლარით;

მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები შემცირდა 11.7 ათ. ლარით;

მუნიციპალიტეტის გამგეობის – 57.2 ათასი ლარით;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის ხარჯები გაიზარდა 5 258.9 ათასი ლარით;

– გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა–შენახვის ხარჯები გაიზარდა 2 513.4 ათასი ლარით;

– დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 30.5 ათასი ლარით;

– ხევების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდა შემცირდა 18.0 ათასი ლარით;

– დაფინანსდა შპს „საგარეჯო“ 55.5 ათასი ლარით; (გაიზარდა 4.1 ათასი ლარით)

– წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა 1 490.4 ათასი ლარით;

– 285.5 ათასი ლარით გაიზარდა გარე განათების რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის ხარჯები;

– აიპ„ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევა”-ს დაფინანსება გაიზარდა 45.0 ათასი ლარით;

– დაიგეგმა სკვერების, დასასვენებელი პარკების, მოსაცდელების რეაბილიტაცია და მოვლა პატრონობის ღონისძიებები 105.3 ათასი ლარით;

– მინი–სტადიონებისა და სპორტდარბაზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ღონისძიებები გაიზარდა 80.3 ათასი ლარით;

– კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები გაიზარდა 482.2 ათასი ლარით;

– სანიაღვრე არხების აღდგენის დაფინანსება გაიზარდა 113.0 ათასი ლარით;

– სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით დაფინანსდა 153.6 ათასი ლარით.

– საგანმანათლებლო ღონისძიებებზე გასაწევი ხარჯები გაიზარდა 190.6 ათ. ლარით, რაც გამოწვეულია არაფინანსური აქტივების ზრდის დაგეგმვით 288.6 ათასი ლარი;

– სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 31.705 ათასი ლარით;

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები გაიზარდა 207.9 ათასი ლარით, მ.შ გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდა 33.8 ათ.ლარით.

– საშემოსავლო ნაწილის შესრულება შემოსავლის ცალკეული სახეების მიხედვით ასეთია:

– საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულდა 87%-ით და შეადგენს 607.1 ლარს(გეგმა 700.0 ათ.ლარი);

– ქონების გადასახადის გეგმა შესრულდა 145 %–ით და შეადგენს 2758.7ლარს (გეგმა 1900.0 ათასი ლარი);

მათ შორის:

ა)საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა 880%–ით და შეადგინა 880.5 ლარი, (გეგმა 100.0 ათ ლარი);

ბ) ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა 37%–ით და შეადგინა 11.2 ათ.ლარი,(გეგმა 30.0 ათ ლარი);

გ) სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შესრულდა 94%–ით და შეადგენს 1562.8 ათ.ლარს (გეგმა 1670.0 ათ ლარი);

დ) არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შესრულდა 304%–ით შეადგენს 304.2 ათ.ლარს, (გეგმა 100.0.ათ ლარი);

– სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტების გეგმა შესრულდა 100%–ით, კერძოდ, გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 3060.5 ათ ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 210.0 ათ.ლარი, კაპიტალური ტრანსფერი -3408.1 ათასილარი;

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 89%–ით, (გეგმა 1 478.1 ათასი ლარი, ფაქტი 1311.6 ათასი ლარი);

კერძოდ:

– შემოსავალი პროცენტებიდან შემოსულია 104.8 ათასი ლარი (გეგმის 175%).

რენტა შესრულდა 109%-ით, (გეგმა 562.0 ათ.ლარი, ფაქტი 610.6 ათასი ლარი);

– მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 581.3 ათასი ლარი, 104% (გეგმა 560. ათ.ლარი);

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 110%–ით (გეგმა 82.5 ათასი ლარი, ფაქტი 90.9 ათასი ლარი);

- ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელები 115%–ით (გეგმა 74.0 ათასი ლარი, ფაქტი 85.2 ათასი ლარი);

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 66%–ით და შეადგენს 5.6 ათ.ლარი, გეგმა 8.5 ათასი ლარი;

ე) ჯარიმები, სანქციები და საურავები 66%–ით (გეგმა 760.0 ათასი ლარი, ფაქტი 504.3 ათასი ლარი);

– არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 320%–ით, გეგმა 165.0 ათასი ლარი, შესრულება 527.5 ათასი ლარი. კერძოდ შემოსულობა მიწის გაყიდვიდან გეგმა 100000 ლარი, ფაქტი 523100 ლარი, შესრულება 523%;

საგასავლო ნაწილის შესრულება ასეთია:

– მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 2117.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 2189.2 ათასი ლარის 97%.

– თავდაცვის ხარჯებმა შეადგინა გეგმიური 115.6 ათასი ლარის 80%, ანუ 92.1 ათასი ლარი.

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსდა გეგმიური 6 671.6 ათ.ლარის 81%–ით ანუ 5368.5 ათ.ლარით. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 79%-ით (გეგმა 2537.2 ათასი ლარი, ფაქტი 2014.2 ათასი ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი შესრულდა 15.7%-ით (გეგმა 180.6 ათასი ლარი, ფაქტი 28 .3 ათასი ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 84%-ით (გეგმა 3860.3 ათასი ლარი, ფაქტი 3257.2 ათასი ლარი).

– **კერძოდ:**

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა შენახვის ხარჯებმა შეადგინა გეგმიური 2 770.4 ათასი ლარის 79%, ანუ 2188.9 ათასი ლარი. ვერ განხორციელდა სპეც. ტექნიკის-გრეიდერის შეძენა,სავარაუდო ღირებულება 275 000 ლარი).

– კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდა 2 673.3 ათასი ლარი (86%) ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 3095.9 ათასი ლარისა.

მათ შორის:

– წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებებს მოხმარდა 1481.9 ათასი ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 82 % (გეგმა1798.8 ათასი ლარი).

- ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის მიერ გახარჯულია 197.2 ათასი ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 96% (გეგმა 206.4 ათასი ლარი).

– გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 494.4 ათასი ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 87 % (გეგმა 570.5 ათასი ლარი). მათ შორის გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება შეადგენს 282.3 ა ათასი ლარს, არაფინანსური აქტივების 276.1 ათასი ლარიდან ათვისებულია 212.1 ათასი ლარი 77%.

– გარემოს დაცვითი ღონისძიებები დაფინანსდა 697.0 ათასი ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 96% (გეგმა 726.7 ათ.ლარი). მათ შორის 1) დასუფთავების ღონისძიებები დაფინანსებულია 521.1 ათასი ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 99% (გეგმა 524.6 ათასი ლარი). 2) სანიაღვრე არხების აღდგენას მოხმარდა 94.3 ათასი ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 80% (გეგმა 118.0 ათასი ლარი). 3)ხევების კალაპოტების გამაგრება გაწმენდა შესრულება 26.1 ათასი ლარი გეგმა 28.7

<u>დასასრული მე-3 გვერდზე</u>

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

განიხილეს 2016 წლის 12 თვის ბიუჯეტი

დასასრული

ათასი ლარი,91 %. 4) შ.პ.ს „საგარეჯო „ დაფინანსდა 55.5 ათასი ლარით, გეგმა 55.5 ათასი ლარი 100%.

- სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით დაფინანსდა 91.2 ათასი ლარი (59%) გეგმა 153.6 ათასი ლარი.

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაიხარჯა 415.2 ათასი ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 64% (გეგმა 651.6 ათასი ლარი).

– საგანმანათლებლო ღონისძიებები დაფინანსებულია 90,3%–ით (გეგმა 1 986 620 ლარი, ფაქტი 1 904 086ლარი, 96%); მათ შორის ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინასებულია 96%–ით (გეგმა 1911.1 ათასი ლარი, ფაქტი 1828.9 ათასი ლარი); სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია დაფინანსდა 250.9 ათასი ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 75%. ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 74.8 ათასი ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 100% (გეგმა 75.1 ათ.ლარი).

– სპორტული,ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები დაფინასებულია 98%–ით (საკუთარი შემოსავლების ჩათვლით გეგმა 1386.6 ათასი ლარი, ფაქტი 1352.5 ათასი ლარი), მათ შორის სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 720.2 ათასი ლარი, გეგმიურის 99% გეგმა (725.5 ათასი ლარი), კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 579.3 ათასი ლარი, გეგმიურის 96% (604.4 ათასი ლარი), საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 27.6 ათასი ლარი, გეგმიურის 92 % გეგმა 30.0 ათასი ლარი, საგამომცემლო საქმიანობაზე დაიხარჯა 25.4 ათასი ლარი, გეგმიურის 95 % გეგმა 26.7 ათასი ლარი.

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსდა 97%–ით (გეგმა 898.0 ათასი ლარი, ფაქტი 874.9 ათასი ლარი); აქედან უფასო სასადილოები დაფინასდა 172.3 ათასი ლარით (96%) (230 ბენეფიციარზე);

– საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება საკუთარი შემოსავლების ჩათვლით დაფინასდა 98.4 ათასი ლარით (100%); სოფლის ამბულატორიების მომსახურება დაფინანსდა 22.6 ათასი ლარით (81%).

– უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 476.8 ათასი ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 100%-ით, კერძოდ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება დაფინანსებულია 121.5 ათასი ლარით (გაცემულია 1215 ოჯახზე), მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება გაცემულია 7800 ლარი (გაცემულია 22 ოჯახზე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა მკურნალობა/რეაბილიტაცია დაფინანსდა 241.3 ათასი ლარით (გაცემულია 550 ოჯახზე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მედიკამენტების დაფინანსებამ შეადგინა 77.6 ათასი ლარი. დაკრძალვის ხარჯი გაცემულია 9600 ლარი (გაცემულია 32 ოჯახზე), 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულებზე 1200 ლარი (ფულადი საჩუქარი), დიალიზზე მყოფი მოქალაქეების დახმარების ხარჯი -17800 ლარი (15 მოქალაქე);

– დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 3400 ლარით (6 ბენეფიციარი);

– ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 2300 ლარით (გაცემულია 23 ოჯახზე);

– მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1400 ლარით (გაცემულია 14 ბენეფიციარზე);

– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 13900ლარით (გაცემულია 70 ბენეფიციარზე);

– ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა დაფინანსდა 10000 ლარით (100%).

– ვეტერანთა დახმარებისა და დაკრძალვის ხარჯები დაფინანსდა 3500 ლარი (16 ბენეფიციარი).

– სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების მცირეშემოსავლიანი ოჯახებისთვის ერთჯერადი სოციალური დახმარება გაიცა 2000 ლარი (2 ოჯახზე).

– ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახებისთვის ელ.ენერგიის ტარიფის სუბსიდირებისთვის 1 000 000 ლარი (1000 ოჯახზე).

– ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახებისთვის ბუნებრივი აირის ტარიფის სუბსიდირებისთვის 1 000 000 ლარი (1000 ოჯახზე).

– ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახებისთვის ცხელი წყლის ტარიფის სუბსიდირებისთვის 1 000 000 ლარი (1000 ოჯახზე).

– ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახებისთვის ცენტრალური გათბობ

ჩვენ, გარემო და ჯანმრთელობა

იმუნიზაციის კვირეული

იმუნიზაცია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად 14 წლამდე ასაკის 3 მილიონამდე ბავშვი იღუპება იმ ინფექციური დაავადებებისაგან , რომელთა პროფილაქტიკისათვის არსებობს ვაქცინა.

იმუნიზაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიბრმავის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობის და სხვა მძიმე დაავადებებისაგან, რისთვისაც აუცილებელია ბავშვებს დროულად ჩაუტარდეთ ვაქცინაციის სრული კურსი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაქცინაცია უშედეგოა. ამიტომ მშობელმა უნდა იცოდეს რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

აცრების წყალობით დამარცხებულია ყვავილი, მკვეთრად შემცირდა წითელათი ავადობის და გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა, თუმცა საქართველო-ევროპის რეგიონი ჯერ კიდევ ენდემურია წითელა-წითურას მიმართ, ამიტომ მიმდინარეობს დამატებითი იმუნოპროფილაქტიკა არასრულად იმუნიზირებულ 6-30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

საქართველოს ჯანმრთელობის კანონის შესაბამისად, 1996 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რაც მოსარგებლეებისთვის არ ითვალისწინებს თანაგადახდას. აღნიშნული პროგრამა სრულად აფინანსებს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებულ 12 დაავადების ვაქცინაციას.

2017 წლის ბოლოს იგეგმება ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვა 9 წლის ასაკის გოგონებში, რაც საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის საუკეთესო საშუალებაა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთ. მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და სერტიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა, მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობის და უსაფრთხოების მაჩვენებელით. თუმცა, ყველას აქვს იმუნიზაციის შემდეგის არასასურველი მოვლენების განვითარების იშვიათი რისკი. მაგრამ ეს რისკი არის ძალიან უმნიშვნელო თვით დაავადებასთან შედარებით. ამიტომ ვაქცინაციის აუცილებლობა უდავოა.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს ერთდროულად კეთდება რამდენიმე აცრა. ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულ დამთავრებას და ვაქცინაციის ეფექტურობის ზრდას.

აცრის შემდეგ სხეულის ტემპერატურის 38,5^{0} C შესაძლო მომატება, ზოგადი აგზნებადობა, აცრის ადგილის შეწითლება-შეშუპება და მტკივნეულობა ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და მის ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მეტყველებს.

• დაავადების შემდგომი გავრცელების თავიდან აცილებით, აცრილი ბავშვები იცავენ გარშემომყოფებს, მათ შორის მცირეწლოვან დედ-მამიშვილებს, რომლებიც მცირე ასაკის გამო ჯერ არ არიან სრულად აცრილები, ჯანმრთელობის განსაკუთრებული მდგომარეობის მქონე თანაკლასელებს და ასაკოვან ბებიებსა და პაპებს.

• ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრის გაკეთება ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის და მოზარდი გოგონების აცრა ადამიანის პაპილომა ვირუსის (აპვ, V) საწინააღმდეგოდ დაიცავს მათ კიბოს ზოგიერთი სახეობისგან.

• ფილტვების ანთების გამომწვევი პათოგენების საწინააღმდეგოდ ბავშვების აცრა ამცირებს შემდგომში ანტიბიოტიკების გამოყენების საჭიროებას და შესაბამისად ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარების საფრთხესაც.

• ვაქცინაცია მხოლოდ ბავშვებისთვის არაა საჭირო. იმუნიზაცია დამატებითი, ბუსტერ დოზებითა და ადამიანის პაპილომავირუსის (აპვ, V) ვაქცინით მოზარდობის პერიოდშიც გრძელდება და იცავს მათ წლების მანძილზე ზრდასრულ ასაკშიც.

• ზოგიერთი ვაქცინით მიღებული დამცველობა დროთა განმავლობაში კლებულობს. დიფტერიისა და ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრების დამატებითი, ბუსტერ-დოზების მიღება ზრდასრულ ასაკში საჭიროა, რათა მთელი ცხოვრების მანძილზე დაცული ვიყოთ.

• რამდენიმე ვაქცინა რეკომენდებულია განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის. რისკ-ფაქტორებს შორისაა ხანდაზმული ასაკი, პროფესიული საქმიანობა, ცხოვრების წესი ან ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამაში შედის ორსულთა აცრა გრიპზე, ყივანახველასა და ტეტანუსზე; ხანდაზმულთა ვაქცინაცია გრიპზე, ზოგ ქვეყანაში ჰერპესზე; და იმ სამედიცინო პერსონალის აცრა ჰეპატიტსა და მენინგოკოკის ბაქტერიაზე, ვინც ამ ინფექციებით დაავადების რისკის ქვეშ არის.

• სრულფასოვნად აცრილი სამედიცინო პერსონალი ვაქცინაციით მართვადი დაავადებებისაგან იცავს საკუთარ თავსაც და პაციენტებსაც.

• ვაქცინაციის სრული კურსის მიღებით, სამედიცინო პერსონალი საკუთარი მაგალითით უმტკიცებს პაციენტს იმუნიზაციის მნიშვნელობას.

ჩვენს რაიონში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია 24 ფიზიკური პირი (სოფლის ექიმი) და 2 დაწესებულება (შპს „ჯეო ჰოსპიტალსი," შპს „ლაიფი"). მათ მიერ მოწვდილი სათანადო ფორმების საფუძველზე წლის დასაწყისში ჩვენი დაწესებულების მიერ ხდება ასაცრელი კონტიგენტის და წლიური საჭირო ასაცრელი მასალის განსაზღვრა და შეკვეთა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში. " ცივი ჯაჭვის" პრინციპის დაცვით ვახდენთ ყველა ზემოთაღნიშნული პროვაიდერის მომარაგებას 1 თვის საჭირო ასაცელი მასალით. ვახდენთ მათ ყოველთვიურ მონიტორინგს (თვეში 2-3 უბანი), გვაქვს კითხვა-პასუხის რეჟიმში მუდმივად ინფორმაციის მიწოდება. დარღვევების შემთხვევაში მითითება და სწავლება.

მუშაობს იმუნიზაციის ელექტრონული მოდული, რაც საშუალებას გვაძლევს მუდმივ რეჟიმში ვაკონტროლოთ თითოეული ფიზიკური პირის თუ დაწესებულების მუშაობა. ყველა ამ ზემოთჩამოთვლილი ურთიერთთანამშრომლობის შედეგია, რომ რაიონის აცრების წლიური მოცვის მაჩვენებლები თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში არის 90-95 %.

2017 წლის 24-30 აპრილს საქართველოში ისევე როგორც ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნებში ჩატარდა ევროპის იმუნიზაციის კვირეული სლოგანით: ვაქცინები მოქმედებს.

კვირეული ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანია მოსახლეობისათვის იმუნიზაციის პროგრამის მნიშვნელობის შეხსენება.

მაია ილაური,
აიპ „საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" იმუნიზაციის ექიმი

გავუფრთხილდეთ დედა-ბუნებას

წყალი – „უნივერსალური-გამხსნელი"

წყალი ერთ -ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია დედამიწის არსებობისათვის. სადაც წყალია, იქ სიცოცხლეა და სადაც მისი ნაკლებობაა, იქ არსებობისთვის ბრძოლა მიდის.

წყალს უწოდებენ „ უნივერსალურ გამხსნელს" , ვინაიდან იგი ხსნის ბევრად უფრო მეტ ნივთიერებებს, ვიდრე სხვა სითხეები.ეს კი ნიშნავს ,რომ წყალს ახასიათებს მინერალების, ქიმიური და მკვებავი ნივთიერებების გადამტანი ფუნქცია როგორც მიწაში ,ასევე ცოცხალ ორგანიზმში.

მეცნიერთა გამოკვლევებით 1 მილიარდზე მეტ ადამიანს არ შეუძლია მიიღოს სუფთა სასმელი წყალი. წინასწარი გათვლების მიხედვით 2025 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი დაიტანჯება წყლის ნაკლებობით.დღეს ადამიანი ბევრად უფრო მეტ წყალს მოიხმარს, ვიდრე ეს იყო 100 წლის უკან.

დღეს წყლის მოხმარება და დაბინძურება საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რამაც კაცობრიობა შეიძლება კატასტროფის წინაშე დააყენოს.

წყლის ძირითადი დამაბინძურებელი არის ადამიანი თავისი საქმიანობით: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მრეწველობა, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება.

კაცობრიობა დიდი ხნის მანძილზე ყრიდა ნარჩენებს მიწაზე და მიწის ქვეშ. მრავალი ასეთი ნაგავსაყრელი შესაძლოა გადაიქცეს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების წყაროდ. დამაბინძურებელი აგენტები შეიწოვება ნიადაგში მოძრავი წყლის საშუალებით და ხვდება მიწისქვეშა წყლებში, მდინარეებში,ჭებში, ტბებში და სხვა ადგილებ'ში,საიდანაც წყალს მოვიხმართ.

წყლის ყოველგვარი დაბინძურება საშიშია როგორც ადამიანის, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობისთვის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 45- მდე სასმელი წყლის სათავე გვაქვს, როგორც ზედაპირული, ასევე, მიწისქვეშა წყალმომარაგების წყაროებით.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი" მთელი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ (საჭიროების შემთხვევაში მრავალჯერადად) ახორციელებს სასმელი წყლის ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს თითქმის ყველა სასმელი წყლის ქსელებიდან (გარდა საგარეჯოსი, რომელსაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს).

მიმდინარე წელს ჩატარებული ბოლო კვლების შედეგები კი ასე გამოიყურება:

	ნიმუშის აღების ადგილი	ქიმიური	ბაქტერიოლოგიური
		სანიტარული წესები და ნორმები სწ-დან 2.1.4.000-00 ჯანგვადობა–3	სანიტარული წესები და ნორმები სწ-დან214.000-00 კოლი ინდექსი -3 ჭაბურღილი -10
1.	მზისგული–ახალი სათავე	4.5	39
2.	მზისგული–სკოლის ჭაბურღილი	2.4	9
3.	შიბლიანი–ცენტრის სათავე	1.8	39
4.	შიბლიანი–ქულაანთ სათავე	3.2	43
5.	ბადიაური–ახალი სათავე	2.2	39
6.	ზ/ყანდაურა–გიაანთ წყალი	4.5	64
7.	ქ/ყანდაურა–კალატოზიაანთ წყალი	3.6	43
8.	ქ/ყანდაურა–ალაკნის სათავე	2.7	39
9.	ქ/ყანდაურა–ალაკნის წყარო	2.2	39
10.	ვერხვიანი–კომფოტის სათავე	3.6	43
11.	ვერხვიანი–მლაშე წყლები	2.2	39
12.	კაკაბეთი–საბას სათავე	4.2	93
13.	კაკაბეთი–სოფლის სათავე	4.3	43
14.	კაკაბეთი–დვრინის სათავე	4.5	93
15.	პ/ჩაილური ქეჩახის სათავე		43
16.	პ/ჩაილური–ყავრიაანთ წყალი	3.5	39
17.	პ/ჩაილური დვრინის სათავე	3.5	43
18.	დ/ჩაილური–სოფლის სათავე	3.3	43
19.	მანავი–ბურდიაანთ სათავე	2.2	43
20.	მანავი–სოფლის სათავე	1.8	43
21.	მანავი–ქალის ციხის სათავე	2.3	43
22.	გომბორი–რუსიანის სათავე	2.2	4
23.			
24.	კოჭბაანი–ირიდიონის სათავე სათავე	2.2	11
25.	კოჭბაანი–ბოტკოს სათავე	1.3	14
26.	უდაბნო-თოხლიაურის ჭაბურღილი		7
27.	ხაშმი–სოფლის სათავე	2.5	43
28.	პატარძეული–ხიდის ქვემოთ ჭაბურღილი	3.2	43
29.	პატარძეული–ფიდინაანთ სათავე	2.6	43
30.	პატარძეული–ჭანიაანთ სათავე	2.7	43
31.	პატარძეული–თათრიშვილების ჭაბ.	2.7	9
32.	წყაროსთავი–სოფლის სათავე	1.5	39
33.	წყაროსთავი–წყაროების სათავე	2.4	39
34.	წყაროსთავი–ბებერწყლების სათავე	2.7	43
35.	ნინოწმინდა–სოფლის სათავე რეზერვუარიდან,	2.4	43
36.	თოხლიაური–შაშვის წყაროები	1.5	39
37.	თოხლიაური–სოფლის სათავე	1.4	39
38.	თოხლიაური–იუზას წყარო სათავე	1.2	39
39.	კოჭბაანი-ირიდიონის სათავე		7
40.	გ/წმინდა–კოდის სათავე	1.5	43
41.	გ/წმინდა–ნავრობის სათავე	2.3	43
42.	გ/წმინდა კანჯარაანთ სათავე	3.4	43
43.	ლამბალო–სკოლის ჩასახვევთან ჭაბ.	1.2	20
44.	დუზაგრამა–ჭაბურღილი	1.3	9
45.	დუზაგრამა–ჭაბურღილი	1.2	3
46.	დუზაგრამა–წითელი ჭაბურღილი	1.3	3
47.	მუღალნო–ჭაბურღილი	1.3	3
48.	უჯარმა–სოფლის სათავე	2.3	3
49.	უჯარმა–ბუდღუჯურის სათავე	3.2	11
50.	გომბორი- პერევალის სათავე	1.4	3
51.	პატარძეული-ჭაბურღილი სტადიონთან.	2.3	43
52.	ზემო მანავი- სოფლის სათავე	1.8	64
53.	გომბორი-რუსიანის სათავე	1.2	9
54.	ბადიაური- სოკარის წყალი	3.3	9

ჩვენი სამსახურის წარმომადგენლებმა სოფლის წარმომადგენლების დიდი თანადგომით უკვე დაიწყეს ზემო აღნიშნული სასმელი წყლის რეზერვუარების ,შემკრები ჭების და ქსელების რეცხვა-დეზინფექცია სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით, რომლითაც ჩვენ ვამარაგებთ. ასევე, ვახორციელებთ სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს დაზიანებულ ქსელებზე და მიმდინარე შეკეთებას როგორც რეზერვუარებზე, ისე შემკრებ ჭებზე.

თბილი დღეების დადგომასთან დაკავშირებით მოსახლეობას მინდა ვთხოვო, გაუფრთხილდნენ სასმელი წყლის სათავეების, ჭაბურღილების ირგვლივ მიმდებარე ტერიტორიას, ნუ დააბინძურებენ და თვითნებურად ნუ გახსნისნ რეზერვუარების სახურავებს წყლის მოსახმარად, ნუ ააშენებენ სამეურნეო დანიშნულების ობიექტებს სასმელი წყლის სათავეებთან ახლოს, რამეთუ დაბინძურებული წყალი ისევ ჩვენი და ჩვენი ახლობლების ჯანმრთელობას აზიანებს.

ასევე მინდა მოსახლეობის ყურადღება გავამახვილო სასმელი წყლის სათავეების ირგვლივ ტყის უმოწყალო ჩეხვაზე, რომელიც რბილად რომ ვთქვა, ჩვენი მომავალი თაობების წინაშე ჩადენილი დანაშაულია.გარდა იმისა ,რომ ჟანგბადს ვაკლებთ გარემოს ტყის გაჩეხვით, სასმელი წყლის საბოლოოდ გაქრობის ძალიან დიდი რისკის წინაშე ვდგებით.

ხათუნა ჯანიაშვილი,
აიპ „საგარჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის" დირექტორის მოადგილე

ხალხური პოლიფონიის შესასწავლად

დაინტერესება მართლაც გაზრდილია

2014 წლის აპრილში აიპ“საგარეჯოს კულტურის გაერთიანების ობიექტებს” კიდევ ერთი მეტად საჭირო და აქტუალური ერთეული შეემატა – “საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერების სახელოსნო” (ხელმძღვანელი ბექა ღვინაშვილი) დღეს სახელოსნოში შექმნილ ფოლკლორულ გუნდში 30 მოსწავლე ირიცხება. როცა ახლადდაარსებულ სახელოსნოს 2014 წლის ივნისში ვესტუმრეთ, დასაწყისში მხოლოდ 16-17 მოსწავლე იყო, მაგრამ მონდომებული, მართლაც სწავლისთვის მოტივირებული მერვეკლასელები. მაშინ კონკურსიდან გიგი ესაიაშვილი, გიორგი მათიაშვილი, ომარ მაისურაძე და ჯუმბერ ლოლაძე განსაკუთრებული მონაცემების საფუძველზე ჩაირიცხნენ სკოლაში. 12 მოსწავლე კი მოსამზადებელ ჯგუფში დატოვეს. დღეს კი ეს რიცხვი მართლაც საგრძნობლად გაზრდილია. აქ პირველკლასელებიც არიან – დათა ქურხული, თემუკა გორელაშვილი, ოთო შაქარაშვილი. სახელოსნოს სკოლაში კი უმცროსი ასაკიდან გიორგი როსტიაშვილი, თევდორე თულაშვილი, თაზო კაკაბაძე, თორნიკე კევლიშვილი ირიცხებიან. მეცადინეობებზე, რომელიც კვირაში 5 საათს მოიცავს, გარდა საგარეჯოს ოთხივე საჯარო სკოლისა, მოსწავლეები პატარა ჩაილურიდან, კაკაბეთიდან, პატარძეულიდანაც მოდიან. თანაც, მათი უმეტესობა ქორეოგრაფიულ ანსამბლებშიც ირიცხებიან, ჰყავთ ერთი “სპორტსმენიც”.

ფოლკლორული გუნდი, რომელშიც როგორც აღვნიშნეთ 30 მოსწავლეა გაერთიანებული, ქართულ ხალხურ სიმღერებს შეისწავლიან და მას წლებია უკვე მაყურებლის წინაშეც ასრულებენ. შემდეგ კი, ანსამბლიდან უკვე შერჩევა ხდება ორწლიანი სკოლისთვის, სადაც უკვე მოსწავლე სწავლობს ქართულ ხალხურ სიმღერასთან ერთად გალობას, სალოტბარო ხელოვნებას, ქართულ-ხალხურ საკრავებს, სოლფეჯიოს, ხალხური მუსიკის ისტორიას და ქართულ ენას. სემესტრულად მათ უტარდებათ გამოცდები. აქ, ამ გამოცდებზე მიღებული შეფასებები კი ერთგვარ გავლენას ახდენს თბილისის წმ. გიორგი მთაწმინდელის გალობა-სიმღერების უმაღლესი სასწავლებლის მისაღებ გამოცდებზე...

საქმეს, რომელსაც ქართულ სიმღერებზე უსაზღვროდ შეყვარებული ჩვენი თანამემამულე ბექა ღვინაშვილი უძღვება საშვილიშვილოა – სწორედ ეს საქმე ემსახურება ხალხური პოლიფონიის ღირებულების შეხსენებას ქართველებისთვის, მის მოფერებას, მოსიყვარულებას და თაობიდან თაობისთვის მოკრძალებით გადაცემას.

ქართული ხალხური სიმღერების შესასწავლად აქ დღიდან სახელოსნოს დაარსებისა, თავის თანაგუნდელებთან ერთად ყოველ მეცადინეობაზე დიდი ინტერესით მოიჩქარის კინგსის გამარჯვებული საბა დუჩიძე

საბა დუჩიძე საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეოთხეკლასელია. საბა ერთობ აქტიური, კომუნიკაბელური და ნიჭიერი მოსწავლეა. სწავლობს კარგად, თამაშობს ჭადრაკს, კალათბურთს, ცეკვავს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედში“, ეუფლება ფორტეპიანოს საგარეჯოს სამუსიკო სკოლაში (მეოთხე კლასშია), დაინტერესებულია ინგლისური ენის შესწავლით. საბა, დღიდან სახელოსნოს დაარსებისა, ამ სკოლის მოსწავლე გახდა და დღეს ბევრი რამ გაიგო ქართული ფოლკლორული სიმღერების შესახებ ბექა მასწავლებლისაგან.

– რაც ბექა მასწავლებელთან დავიწყე სიარული სკოლაში და ანსამბლ „პატარა გარეჯელებში“, ბევრი რამ შევისწავლე, დარბაისლური, თავისებური სიდინჯით მეუბნება საბა, – უპირველეს ყოვლისა, გავიცანი და დავუმეგობრდი სხვადასხვა სკოლებიდან მოსულ ამ სახელოსნოს მოსწავლეებს, უფრო მეტი დოზით შევიგრძენი მელოდია, დავხვეწე ჩემი მუსიკალური გემოვნება და აქამდე თუ ოცნებად მქონდა მოსმენილი სიმღერების შესწავლა, ახლა თანდათანობით ხდება ამ ოცნების ასრულება. ჩვენ შევისწავლეთ „გარეკახური“, „ერთი ბოდბელი ბიჭი ვარ“ (რომელზედაც დარბაზი ძალიან გამოცოცხლდება ხოლმე), „ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია“, „ცელო მოუსვი“... და სხვა. სულ ახლახანს დავიწყეთ თუშური სატრფიალოს შესწავლა, რომელსაც მე, როგორც სხვა სიმღერებს, ჩემებურ სახელს „შენ მახვალ“-ს ვუწოდებ. შევისწავლეთ საგალობლები: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“, „აღდგომასა შენსა“... როცა ამ საგალობლებს ვგალობთ, თითქოს სულ სხვანაირი ვხდები – მიხარია თითქოს შიგნიდან რაღაც სიმძიმეც მეხსნება. დედა მეუბნება – ამ დროს მადლი გადმოდის და ადამიანი იწმინდებაო. ალბათ ასეა, არ ვიცი... ჩემი კლასიდან დაინტერესდნენ ჩემი მეგობრები და ისინიც დადიან ჩემთან ერთად. აი, მაგალითად, თორნიკე კევლიშვილი, ნიკა ბერიძე, გიგი ესაიაშვილიც დადიოდა, ახლა ვეღარ დადის, არ ვიცი, რატომ...

ძალიან საინტერესოა ბექა მასწავლებელთან მუშაობა. მან სიახლე შემოიტანა, რამაც გაგვახალისა – შექმნა ინსტრუმენტების შემსწავლელი გუნდი. აი, მაგალითად, მე სალამურზე დაკვრა მეხერხება (დედამ მასწავლა ერთი-ორი მელოდია), თევდორე თულაშვილი ფანდურზე უკრავს. ფანდურზე დაკვრის მსურველი ბევრი გამოჩნდა. მართლა საინტერესოა, აქ ვსწავლობთ სიმღერებს და სიმღერებთან ერთად, როცა ინსტრუმენტებზეც ვისწავლით კარგად დაკვრას, მაშინ ხომ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება ჩვენი კონცერტები. ამით, მე მგონი ბევრი ბავშვი დაინტერესდება და ჩვენთან მოისურვებს მოსვლას. ისე, დიდი სურვილი მაქვს გიტარაზე დაკვრაც შევისწავლო.

ვახო შაქარაშვილი საგარეჯოს I საჯარო სკოლის პირველკლასელია. სახელოსნოში გასული წლის სექტემბრიდან მოვიდა და ანსამბლ „გარეჯის“ წევრი გახდა. პარალელურად არის სტუდია „მირეღას“ და ქორეოგრაფიული ანსამბლის „იმედის“ წევრი. ხალხური სიმღერებისადმი სიყვარული მას და თავის მომდევნო ძმას – ლექსოს მამიკომ, კახამ გაუღვივათ. როგორც ვახო მეუბნება, მამამისს ცეკვაზე 11 წელი „უვლია“, უკრავს სხვადასხვა ინსტრუმენტზე და საღამოს სახლში შინაურებისთვის კონცერტს მართავენ ხოლმე. ძალიან უყვარს ფანდური, დოლი და სალამური. ფანდურსა და დოლზე როგორღაც ახერხებს დაკვრას, ხოდა, ბექა მასწავლებელთან სწორედ ქართული ხალხური სიმღერებისა და ინსტრუმენტებზე დაკვრის შესასწავლად მივიდა..

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი ნორვეგიაში

2016 წელს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების (სწჯს) ხუთ ადგილობრივ ფილიალსა (თბილისი, გორი, მარნეული, საგარეჯო და ახმეტა) და ნორვეგიის წითელი ჯვრის სორ-ტრონდელაგის (ქ. ტრონდჰეიმი) რეგიონულ ორგანიზაციას შორის დაიწყო თანამეგობრობის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მოწყვლადი ადამიანებისათვის დროული და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას წითელი ჯვრის ქსელის გაძლიერების გზით, რაც შესაძლებელია გამოცდილების გაზიარებითა და ფილიალების შესაძლებლობების განვითარებით. ასევე, თანამეგობრობის პროგრამა მოიცავს ეროვნულ საზოგადოებებს შორის სხვადასხვა სამუშაო ინსტრუმენტის, გზამკვლევისა და კარგი პრაქტიკის გაზიარებას, რათა გაძლიერდეს ფილიალების საქმიანობა და შესაძლებლობები დამეგობრებულ ეროვნულ საზოგადოებებს შორის აქტიური თანამშრომლობით. ძირითადი აქცენტები კეთდება რესურსების მობილიზებასა და კომუნიკაციაზე, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობის მართვასა და ადგილობრივ დონეზე ფონდების მოძიებაზე, პირველ დახმარებასა და ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელებაზე. თანამეგობრობის პროგრამის შემადგენელი ნაწილია სასწავლო ვიზიტები, რის საფუძველზეც ნორვეგიის წითელი ჯვრის დამეგობრებული ადგილობრივი ფილიალების მოხალისეები და თანამშრომლები ორჯერ იმყოფებოდნენ საქართველოში და გაეცნენ სწჯს-ის ფილიალების მუშაობას, ასევე, ქვეყნის ისტორიასა და კულტურას. მიმდინარე წლის 30 მარტიდან 6 აპრილამდე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გენერალური მდივნის მოადგილე და ორი მოხალისე საგარეჯოსა და ახმეტის ფილიალებიდან ვიმყოფებოდით ნორვეგიაში სასწავლო ვიზიტით. ეს ვიზიტები ხელს უწყობს ეროვნული საზოგადოებების ფილიალებს ერთობლივი ვალდებულებების ჩამოყალიბებაში, საქმიანობების დაგეგმვასა და გამოცდილების გაზიარებაში.

ქეთი მეიფარიანი,
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საგარეჯოს ფილიალის მოხალისე



რაგბი

ეს ჩვენს „ვეფხვებზე“ თქვეს

„Они играли словно в финале чемпионата мира“...

***ბასული** თვის ბოლოს ჩვენი 14 წლამდელ ასაკის „პატარძეულის ვეფხვები“ ბაქოში „ნიკოილ თასის“ ჩემპიონატზე იმყოფებოდნენ. როგორც გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა სანდრო პავლიაშვილმა (გუნდის მწვრთნელია, ასევე გიორგი ქვლივიძე) გვითხრა:*

– აზერბაიჯანის რაგბის ფედერაციისა და ბაქოს ახალგაზრდული და სპორტის სამსახურის შეთანხმებით, რაგბის კომიტეტმა „ყარაბაღმა“ 22-23 აპრილს ბაქოში ჩაატარა „ნიკოილ თასის“ ჩემპიონატი, რომელიც აზერბაიჯანის ნაციონალური გმირის, სპორტსმენისა და მწვრთნელის ალლახვერდ ბაგიროვის ხსოვნას და მის დაბადების დღეს მიეძღვნა. ტურნირში მიწვევა სხვა გუნდებთან ერთად, „პატარძეულის ვეფხვებმაც“ მივიღეთ. ტურნირში მონაწილეობდნენ საკმაოდ ძლიერი, კარგად მომზადებული გუნდები – თბილისიდან „წიქარა“, „მიმინო“. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან „დათვები“ (ქ. ესენდუკი), „დრაკონები“ (ქ. პენზა), აზერბაიჯანის „ტიტანები“ და „პალანგა“.

„პატარძეულის ვეფხვებიდან“ 12 მორაგბე გვყავდა წაყვანილი: ლაშა უცუნაშვილი, დაჩი მალასიძე, გიგი ქურხული (გიგი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და ფასიანი საჩუქარიც გადასცეს), მიშო ბუჩაშვილი, მიშო ბერიძე, ვახო ოქრუაშვილი, ოთო დოლენჯაშვილი, უჩა მუჩიაური, დათო ფაფიაშვილი, რომან და ლუკა მამულაშვილები, სულიკო მუჩიაშვილი. 14 წლამდე ჯგუფში, ასევე, ირიცხებიან საბა ცხვარიაშვილი, ნიკა გაბროშვილი, გივი გრატიაშვილი, გიორგი უსტიაშვილი. გულდასაწყვეტი იყო, რომ საბა ცხვარიაშვილმა ვერ შეძლო ბაქოში წამოსვლა. ალბათ მისი თამაში გუნდთან ერთად ბევრ საინტერესოს მისცემდა და ლამაზ სანახაობას აჩვენებდა მაყურებელს...

თამაშში 7 კაცი იღებდა მონაწილეობას. ჩვენი გუნდი საერთოდ 12 კაცა რაგბის თამაშობს. ძნელია 12-დან უცბად 7 კაცაზე გადასვლა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ მოვუგეთ „ტიტანებს“ (ყარაბაღი), მეორე თამაშში მოვუგეთ თბილისის „წიქარას“, ნახევარფინალში თბილისის „მიმინოს“. თასის მოსაპოვებლად შევხვდით რუსეთის, ქ. პენზის „დრაკონების“, გუნდს, რომელსაც ნახევარ მილიონზე მეტი რუბლი აქვს დაფინანსება, რომლის ბაზები ცნობილია რუსეთში. ისეთი გუნდი, როგორიც ჩვენი „პატარძეულის ვეფხვებია“, ალბათ არასოდეს შეხვედრია. და რატომ, იცით?! თქვენთვის და ყველასთვის ცნობილია ჩვენი ფინანსები და მომზადების პირობები, მაგრამ „ვეფხვებმა“ მინდორზე ცეცხლი დაანთეს. ყველამ, ვინც ჩვენს თამაშს უყურებდა, ნახა ჩვენი ბიჭების ჟინიც და ჯანიც, მაგრამ გამოცდილება ნაკლები გვქონდა და... მხოლოდ ვერცხლის მედლებს დავჯერდით. პენზის „დრაკონებს“ გამოცდილება და დიდი მომზადება ჰქონდათ – მათ თამაშის მაღალი ხარისხი ჰქონდათ. ისინი საერთოდ 7 კაცა რაგბის ჩემპიონატს თამაშობენ. ამასთან წარმოიდგინეთ, რუსეთის ჩემპიონები არიან. ჩვენ 7 კაცას წელიწადში მხოლოდ 3 კვირას ვთამაშობთ. თუმცა დავმარცხდით, ბიჭები მაინც გახარებული არიან, მაისში 16 წლამდე ქართველ რაგბისტებს რუსეთი ბაქოში ალიევის ტურნირზე მიწვევას შეჰპირდა. ეს ბევრს ნიშნავს, პატარა „ვეფხვები“ ნელ-ნელა გაიკაფავს გზას წარმატებებისკენ, თან თავიანთ უფროს მეგობრებსაც ახალ-ახალი გამარჯვებებისკენ უხსნიან გზას...

როგორც აზერბაიჯანის პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუში აღნიშნა „ნიკოილ თასის“ ერთმა ყარაბაღელმა ორგანიზატორმა, ამ ტურნირში რუსეთის „დრაკონმა“ საკმაოდ ძლიერი და მომზადებული თამაში აჩვენა, მაგრამ მათ ადვილად არ მოუპოვებიათ გამარჯვება. მათი მოწინააღმდეგეებიც საკმაოდ ღირსეულები იყვნენ, თამაში ღირსეულად მიჰყავდათ – შეუპოვრად იბრძოლეს ბოლომდე, ისეთი თავგანწირვით იბრძოდნენ, თითქოს ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაში, მაგრამ გამარჯვებას აღწევს უფრო მომზადებული გუნდი, თუმცა, „ვეფხვების“ თამაში იყო გვირგვინი და დამამშვენებელი ამ ჩემპიონატის.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ორი პირველი ადგილი

28-30 აპრილს აიპ „საგარეჯოს სპორტ-გაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის 2003-2004 წლებში დაბადებული (მწვრთნელები თამაზ ყიფიანი, ვასილ მარტიაშვილი) მოჭიდავეები მონაწილეობას იღებდნენ ქ. ხაშურში ვასილ ჩოჩიშვილის სახელობის ტურნირში, სადაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი ღირსეულად იბრძოდა გამარჯვებულის სახელის მოსაპოვებლად. გარეჯელი 5 მოჭიდავიდან ორმა მუხმად წუწაშვილმა (+66 კგ წონითი კატეგორია) და ტარიელ პაატაშვილმა (66 კგ წონითი კატეგორია) ტურნირის ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს. მათ მოწინაღმდეგეებთან 3-3 შეხვედრა სუფთა მოგებით დაამთავრეს და დაწესებულ თასებს ღირსეული ჭიდაობით დაეუფლნენ.

ბავშვთა რაგბის ფესტივალი

6 მაისს პატარძეულის სტადიონმა 8-10 წლამდე ბავშვთა რაგბის ფესტივალს უმასპინძლა. ეს ნომერ პირველი ფესტივალი იყო, რომელიც რაგბის ფედერაციის გადაწყვეტილებით ამიერიდან საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება. ფესტივალში 34 გუნდის 400 მომავალი მორაგბე მონაწილეობდა. აქ იყვნენ რაგბში თავნასახელები თელავის „ჭადარი“ და „კახელები“; გორის „ჯიქი“

. „პატარძეულის „ვეფხვებმა“ (მწვრთნელი ფრიდონ ბუჩაშვილი) 4 თამაში ითამაშეს და ოთხივე მოიგეს.

ფესტივალში ბიჭებთან ერთად 10 წლის ნია პავლიაშვილიც იღებდა მონაწილეობას. ნია თბილისის 180-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა. დაინტერესებულია რაგბით და მამას – „პატარძეულის ვეფხვების“ მწვრთნელ სანდრო გაგნიაშვილს ხშირად მიჰყვება პატარძეულის საწვრთნელ მოედანზე ვარჯიშისა და უფრო თამაშისათვის.

მართლმადიდებლობა

ანდრია მოციქული

12 მაისს აღინიშნება მისი საქართველოში შემოსვლა

ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ, ანდრია მოციქულმა დატოვა იერუსალიმი და გაემგზავრა თავის საბოლოო მოგზაურობაში. გადმოცემით ცნობილია, რომ ის ისევ ეწვია პონტოს, მერე გადავიდა საქართველოში და გაემართა აზოვის ზღვისკენ, იქიდან გადავიდა ყირიმში და ზევით აყვა დნეპრს ვიდრე კიევამდე ასევე შავი ზღვისპირეთის სკვითების ქვეყნებში. ყირიმში სევასტოპოლისა და ხერსონის ბერძნებთან დააარსა ქრისტიანული ეკლესია. დნეპრისპირეთიდან, სადაც ახლა დგას კიევი, უნდა გამგზავრებულიყო ჩრდილოეთით სადაც დღესდღეობით იმყოფება მოსკოვი , ნოვგოროდი, და ლადოგის ტბის მიმართულებით ვალაამისკენ. ადგილობრივი გადმოცემის მიხედვით, მოციქული იყო სალოვკის კუნძულზეც, თუმცაღა ამის მტკიცებულება არ არსებობს. სავარაუდოდ ვალაამიდან გაემართა ბალტიის ზღვისკენ იქიდან შოტლანდიაში და თანამედროვე პოლონეთისა და სლოვენიის გავლით მივიდა რუმინეთში, სადაც მან დაყო ოცი წელი. რუმინეთიდან კი გაემგზავრა ხერსონი-ყირიმში, სინოპში, მაკედონიაში, ეპირში, თესალია, ლამია, ლუტრაკიონსა და კორინთეში.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მოციქულმა იქადაგა, ქალაქი პატრა (საბერძნეთი) იყო, წმიდანის ლოცვით ამ ქალაქში უამრავი ადამიანი განიკურნა და მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ერთგული რჩებოდა ცრუ ღვთაებისა. უღმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმიდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. წმინდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმიდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. უღმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმიდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. თუმცაღა მეომრები დიდხანს ცდილობდნენ მის ჩამოხსნას, მაგრამ, ამაოდ. სიკვდილის წინ წმინდა ანდრიამ დალოცა მის წინ შეკრებილი მორწმუნეები და მიაბარა თავისი ნეტარი სული ღმერთს. ეს მოხდა 62 წელს.

წმ. ანდრია მოციქულის თავის ძალა და ჯვარი რომელზეც გააკრეს. ქ. პატრა, წმ. ანდრიას ეკლესია.

წმინდა ანდრია მოციქული თავდაპირველად 62 წელს დაკრძალული იყო ქ. პატრაში (საბერძნეთი), სადაც ეგაეტის ბრძანებით წმინდანი ჯვარს აცვეს. 357 წელს კონსტანტინე დიდის ვაჟმა- კონსტანციუსმა, წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით გადაასვენა კონსტანტინოპოლში, ლუკა მახარებელისა და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით. IX საუკუნის მეორე ნახევარში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა დააბრძანეს ქ. პატრას წმინდა ანდრიას სახელობის ეკლესიაში. 1460 წელს, ოსმალთა იმპერიის მიერ მცირე აზიის ტერიტორიების დაპყრობის გამო, პატრას არქონტმა თომა პალეოლოგმა სიწმინდის გადარჩენის მიზნით, წმინდა ანდრიას თავის ქალა გადააბრძანა რომში, სადაც ის იყმყოფებოდა 1964 წლამდე. დღესდღეობით წმინდა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა დაბრძანებულია მოციქულის წამების იარაღის - ჯვრის გვერდით ქ. პატრას წმინდა ანდრიას სახელობის ეკლესიის საკურთხეველში. ანდრია მოციქულის წმინდა ნაწილების ძირითადი ნაწილი ათონიის მთაზე იმყოფება: მკლავი X საუკუნიდან დაბრძანებულია წმინდა ათანასეს ლავრაში, ერთი ტერფი ინახება ელია წინასწარმეტყველის სავანეში , ხოლო მეორე ტერფი, წმინდა ათონის წმინდა პანტელეიმონის მონასტერში. წმინდა ანდრიას მარჯვენა მკლავი XVI საუკუნიდან დაბრძანებულია მოსკოვში, კრმლის ხარების ეკლესიაში. ვენეციაში წმიდა ანდრია პირველწოდებულის წმიდა ნაწილები 1208 წლიდანაა დაბრძანებული, რომლებიც ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლის წმიდა მოციქულთა სახელობის ეკლესიიდან გაიტაცეს. 2002 წლის 15 აგვისტოს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილები საჩუქრად გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს. იგი საქართველოში ჩამოაბრძანეს ვატიკანის ნუნცმა კლაუდიო გუჯეროტიმ და ვენეციის კარდინალმა მარკო ჩემ.

გამოსათხოვარი

ბიძინა კევლიშვილი



ბიძინა კევლიშვილი დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში 1938 წელს. სწავლობდა საგარეჯოს I საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს ორენბურგის გეოლოგიურ სამმართველოში გეოლოგად, სადაც იმუშავა 1971 წლამდე. საგარეჯოში დაბრუნებისთანავე მუშაობა დაიწყო მშენებლობაზე ინჟინრად. რაც შეეხება მის სპორტულ მიღწევებს, არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, მრავალგზის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში და ჭიდაობა სამბოში. თავისუფალ ჭიდაობაში მოგებული აქვს სსრკ პირველობა ინსტიტუტებს შორის. იყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ჭიდაობის სამ სახეში. ქართულ, თავისუფალ და ჭიდაობა სამბოში. იყო სპორტის ოსტატი სამივე სახის ჭიდაობაში.

ჭიდაობის ვეტერან თაობას გამოაკლდა კიდევ ერთი საქართველოზე გულწრფელად შეყვარებული კაცი, კაცი, რომელიც დააკლდა საგარეჯოს სპორტულ სამყაროს, თავის ოჯახს, ძმაკაცებს, თანაკლასელებს. მსუბუქი ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი საქართველოს მიწა და ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“

14 მაისი თამარ მეფის ხსენების დღეა!

თამარ მეფის ოთხი პორტრეტი

დღესდღეობით ფრესკებზე შემორჩენილია თამარ მეფის ოთხი პორტრეტი: ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწვისში და ბერთუბანში.

ვარძიაში გამოსახული თამარის გამოსახულება საყურადღებოა შემდეგით: მანდილი გვირგვინიდან პირდაპირ მხრებზე ეშვება. გრძელი კულულების ნაცვლად - მოკლე თმის ხვეულები ლოყაზე გადმოდის. ეს ნიშნები იმის მანიშნებელია, რომ თამარი აქ გამოსახულია გათხოვებამდე. ე. ი. 1185 წლამდე. წარწერაში თამარის შესახებ ვკითხულობთ:

...რომელი მრავალჟამეულობსმცა.“

რაც არ არის აღნიშნული გიორგი III-ის შესახებ. ეს ფაქტები საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოდ მხატვრობის შესრულობის დრო. ანუ ესაა გიორგი III-ის გარდაცვალების შემდგომი და თამარის გათხოვებამდე პერიოდი (ე. ი. 1184-1185 წლებს შორის).

ბეთანიაში სამეფო წევრები ვედრების პოზაში არიან წარმოდგენილნი. აქაც ისევე, როგორც ვარძიაში თამარ მეფე და გიორგი III ბიზანტიელ იმპერატორთა საზეიმო კოსტიუმებით არიან მოსილნი. ხოლო თამარის შვილს - გიორგი-ლაშას - აცვია მოკლე წელში გამოყვანილი კაბა და ზედ ქამარზე უკეთია ხმალი. მას თამარ მეფისა და გიორგი III-ს მსგავსად თავზე ადგას გვირგვინი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეფედ კურთხევის დროს აუცილებელი იყო ხმლის შემორტყმაც, მაშინ აღნიშნული ფრესკა უნდა იყოს შექმნილი ლაშა გიორგის მეფედ კურთხევის დროს, ანუ 1207 წელს.

ყინწვისში არსებული თამარის ფრესკა იდენტურია ბეთანიაში წარმოდგენილი ფრესკისა. განსხვავება მხოლოდ სამეფო ოჯახის უმცროსი წევრის - ლაშა-გიორგის სამოსშია, კერძოდ ზედ მოცმული, კაბაზე დატანილი სპეციფიკური ჭრილი. ამ ჭრილს ივანე ჯავახიშვილი ცხენოსნის კოსტიუმის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს.

ბერთუბანში თამარი, ასევე, საზეიმო სამეფო ტანსაცმლითაა წარმოდგენილი. ლაშა-გიორგის სამოსი იმეორებს ყინწვისის კოსტიუმს. ის ისევე, როგორც თამარი მოხსენიებულია მეფეთ მეფედ, ანუ შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ფრესკა შესრულდა მაშინ, როცა დედა და შვილი ერთად მეფობდნენ. სავარაუდოდ, ბერთუბნის ფრესკაზე მოცემულია თამარ მეფის უკანასკნელი წლები (1212-1213 წწ.).





გიორგობა

მართლმადიდებელი ეკლესია 6 მაისს წმინდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღეს აღნიშნავს.

წმინდა საკვირველთმოქმედი და ძლევაშემოსილი გიორგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და იგი საქართველოში განსაკუთრებით უყვართ.

წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მოგვიანებით, იგი, რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს, მხედართმთავარი გახდა.

ქრისტიანებზე დევნის დაწყების შემდეგ იგი იმპერატორს განუდგა. კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდა გიორგის ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. მან მრავალი სატანჯველი მოითმინა, მათ შორის - ბორბალზე გაკვრა. წმინდანს 303 წელს, 30 წლის ასაკში, მოკვეთეს თავი. იგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

წმინდა გიორგი კაბადოკიელის კულტი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. მას არამარტო მართლმადიდებლები, არამედ ყველა მიმართულების ქრისტიანული აღმსარებლობის მორწმუნეები კათოლიკეები, პროტესტანტები, გრიგორიანელები, მონოფიზიტები სცემენ თაყვანს. წმინდანის შესახებ ცნობები მაჰმადიანთა წმინდა წიგნში - ყურანშიც კი მოიპოვება.

ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს - წმიდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს - მისი ბორბალზე წამების დღეს, დღესასწაულობს.

სად ინახება წმიდა გიორგის წმინდა ნაწილები?

წმიდა გიორგის წმინდა ნაწილები სხვადასხვა ქალაქში არის შემონახული, მაგრამ მუხლის ნაწილი წლების განმავლობაში ინახებოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში, ხოლო როდესაც წმინდა სამების საკათედრო ტაძარი იკურთხა, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით მუხლის ნაწილი სამებაში იქნა დაბრძანებული. საგულისხმოა წმინდა გიორგის უკანასკნელი ლოცვა ქრისტესადმი, იგივე თხოვნა და ანდერძი, სადაც ის მაცხოვარს თხოვს: “შემხებელი ჩემს ნაწილზე, სარწმუნოებით განკურნე და თითოეული ნაწილი ძვლისა ჩემისანი ჰკურნავდეს სარწმუნოებით შემხებელ სნეულს”. და ეს მართლაც, რომ ასე ხდება. მრავალი ადამიანი განკურნებულა წმინდანის ნაწილთა შეხებით.

წმიდა დიდმოწამე გიორგის მეოხებით ღმერთმა გაძლიეროს სრულიად საქართველო!

ხსოვნა

ნიკა ბეჟანიშვილი



18 აპრილს ჩაიფერფლა სიცოცხლე, შენი ცხოვრებისა, შენი ახალგაზრდობისა, რომელმაც 22 წლამდე ვერ მიგიყვანა, ჩემო ნიკა. 22 წელი მიწაში შეგისრულდა. ეს დიდი გულის ტკივილი იყო შენი მშობლებისა, შენი ბებია-პაპასი, შენი ძმისა, რომელმაც მკვდარიც ვერა გნახა და გაგვანადგურა მთელი ოჯახი. სათავის ქუჩის ბიჭები დიდი გულის ტკივილით გიგონებენ, იხსენებენ მხიარულ შენს ხასიათს. როცა პურ-მარილი აქვთ, ყოველთვის ცოცხლად გადღეგრძელებენ.

ამ სიმწარესა და ტკივილიან დღეებში დრო გარბის და ერთი წელი გავიდა უშენოდ. ამ ერთმა წელმა დიდი მწუხარება და ტანჯვა დაუტოვა ჩვენს გულებს. როგორ გვენატრები, მინდა გხედავდე ისევ გაღიმებულს, გხედავდე, ვტკბებოდე შენი ვაჟკაცური სილამაზითა და შენი ძალღონით ვხარობდე.

ჩემო ნიკა, წვიმამ, თოვლმა და მზემ ნელნელა წაშალა მიწიდან შენი ნაფეხურები, მაგრამ ვაჟკაცური სახელი, და სიყვარული ვერ წაშალა, სიყვარული, რომელიც სამუდამოდ დაგვრჩება.

შენ კვლავ ნიკა ბეჟანიშვილად (მალაკანა) რჩები. იყავი მშვიდად შენს მყუდრო განსასვენებელში, ჩემო გაუხარელო ბიჭო.

ბებო – ანგელინა ბეჟანიშვილი (ზირაქაშვილი)

სწავლის მსურველთათვის

საგარეჯოს კოლეჯი „ილია“ სტატუსს იმაღლებს

***პროფესიული** განათლება ზოგადად ყველა ქვეყანაში რომ პრიორიტეტულია, ამის შესახებ ჩვენმა მოსახლეობამ უკვე იცის პრესით, ტელევიზიით, თვით ცხოვრების ანალიზით და დასაქმების შესაძლებლობით. პროფესიულ ცოდნას და გამოცდილებას კი პროფესიული სასწავლებლები იძლევიან.*

ასეთია საგარეჯოს კოლეჯი „ილია“, რომელიც 16 წელია რუდუნებით ემსახურება ამ საშვილიშვილო საქმეს, ამჟამად კი იგი იმაღლებს სტატუსს, პროფესიული კოლეჯიდან გადადის საზოგადოებრივ კოლეჯზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით გავესაუბრეთ კოლეჯის ერთ-ერთ დამფუძნებელს და განათლების ხარისხის მართვის მენეჯერს, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგს თამარ აბულაშვილს.

– ქ-ნო თამარ, ჩვენთვის ცნობილია, რომ კოლეჯი თანდათან ძალას იკრებს, იგი გახდა კერძო კოლეჯების ასოციაციის ნამდვილი წევრი, თქვენმა კოლეჯმა უკვე ექვსჯერ გაიარა განათლების სამინისტროს ავტორიზაცია, რაც გაძლევთ უფლებას გასცეთ სახელმწიფო უმაღლესი პროფესიული დიპლომი. ამის შესახებ წინა წლების ნომრებში ვწერდით.

გთხოვთ მოკლედ მოუთხროთ ჩვენს მკითხველს თქვენი კოლეჯის ახალი გეგმების შესახებ.

– სახელმწიფო ხელისუფლება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი, დამსაქმებელთა ასოციაცია და ყველა სხვა საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთნაირი მონდომებით იღწვიან, რათა ახალგაზრდობას ცხოვრებაში სწორი მიმართულება მისცენ და დაეხმარონ დასაქმებაში. მათ ავანგარდში დგას ჩვენი კოლეჯიც.

ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება ახალი სახელით გაჟღერდა. ***ეს არის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი.*** ეს ნიშნავს, რომ კოლეჯი სტატუსს იმაღლებს, პროფესიული კოლეჯიდან გადადის საზოგადოებრივ კოლეჯზე. ისე, რომ მიმდინარე წლიდან განვახორციელებთ როგორც II, ისე IV და V საფეხურის პროფესიულ პროგრამებს, მივიღებთ როგორც საბაზო, ისე საშუალო განათლების აბიტურიენტებს. მინდა გავახარო ჩვენი ახალგზრდობა იმით, რომ უმაღლესი განათლების დიპლომისათვის შორს წასვლა აღარ დასჭირდებათ, IV და V საფეხურზე გავცემთ უმაღლეს პროფესიულ დიპლომს.

ამავე დროს V საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული აიღებს „ასოცირებულის“ ხარისხს, რაც უტოლდება ბაკალავრიატის სამ კურსს. ისე, რომ, ამ დიპლომით კურსდამთავრებული უნივერსიტეტში ბაკალავრიატის მე-4 კურსზე გააგრძელებს სწავლას.

ამავე დროს ახლა პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოვიდა მოდულური პროგრამული სისტემაც, გერმანული დუალური სწავლების მოდელი. ამიტომ ჩვენს კოლეჯში ერთდროულად განხორციელდება საგნობრივი კრედიტული პროგრამებიც და ახალი მოდულური პროგრამებიც. ეს კი საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას გვანიჭებს, რადგან ეს პროცესი სერიოზულ სიძნელეებს შეიცავს.

– რა სიახლეებს პირდებით აბიტურიენტებს?

– წელს ახალი სპეციალობები დაგვემატება, ისინი მხოლოდ IV და V საფეხურის პროგრამები იქნება.

ეს სპეციალობებია:

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი – V საფეხური

2. ფარმაცევტის თანაშემწე – IV საფეხური

3. ოფისის მენეჯერი – IV საფეხური

4. პრაქტიკოსი ექთანი – V საფეხური

ყველა კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფო უმაღლეს პროფესიულ დიპლომს, მათ შორის პედაგოგები და ექთნები, აგრეთვე, ასოცირებულ ხარისხს.

სათქმელად ადვილია, მაგრამ ამ დონეზე მისაღწევად ძალიან დიდი შრომა და ფინანსები გავიღეთ. მე ვიტყოდი, რომ ამით დავასაჩუქრეთ საგარეჯოს მოსახლეობა, რადგან ძალიან გაიზარდა უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობა.

– ქ-ნო თამარ, როგორია სწავლის ხანგრძლივობა თვითეულ სპეციალობაზე.

– მეოთხე საფეხურზე სწავლა ორწლიანია, ანალოგიურად

მეხუთე საფეხურზე სამ წელს გრძელდება სწავლა და მხოლოდ სრული საშუალო განათლებით იქნება შესაძლებელი.

– საბაზო განათლების დონეზეც ხომ არ არის რაიმე სიახლე?

– არის. უკვე წლებია ამ საკითხზე აქტიურად საუბარობენ ყველა დონეზე და როგორც ჩანს ბოლო კეთილად დასრულდება. უკვე მომზადდა პროექტი საბაზო განათლებით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა ატესტატით უზრუნველყოფის შესახებ. მალე იგი კანონად იქცევა.

მხოლოდ ჩვენ კი არა საგანმანათლებლო სივრცეში ყველა დონეზე სწამთ, რომ ეს საკითხი მალე გადაწყდება, რადგან ძალიან მომწიფებულია. ადვილი შესაძლებელია, რომ სექტემბრიდან ჩვენმა კოლეჯმა ატესტატიც გასცეს დიპლომთან ერთად.

– ქ-ნო თამარ, განაცხადში ორი ბუღალტრის სპეციალობა გიწერიათ. მათ შორის რა განსხვავებაა?

ამ დროისათვის ჩვენ გვაქვს საგნობრივი პროგრამა – ბუღალტერი – 1 წლიანი და ახალი მოდულური პროგრამა – ბუღალტერ-ტექნიკოსი – 2 წლიანი. მათ შორის სწავლებაშიც განსხვავებაა და პროგრამებშიც. საგნობრივი პროგრამა თანამედროვე ბუღალტერს მხოლოდ აღრიცხვის დარგში კომპიუტერით ორისის პროგრამას ასწავლის, დანარჩენი საგნების სწავლება სასწავლო აუდიტორიაში მიმდინარეობს.

ბუღალტერ-ტექნიკოსის სპეციალობაზე კი სწავლა მიმდინარეობს სპეციალურ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სადაც პროგრამის თითქმის ყველა მოდულის წარმატებული რეალიზაცია ხდება. სტუდენტი იმუშავებს მუდმივად კომპიუტერთან, ყველა საგნის კომპიუტერიზაცია ხდება. ეს ძალიან მაღალი ხარისხის განათლება იქნება. კურსდამთავრებულთა დასაქმება ნებისმიერი დონის კომპანიაში იქნება შესაძლებელი. წელს ამ პროგრამაზე პირველ ნაკადს მივიღებთ.

– ქ-ნო თამარ, კადრების შესახებ რას გვეტყვით. საგარეჯო პატარა რაიონია, ძნელია ასეთი მაღალი დონის სპეციალისტების მონახვა, სწავლებისათვის კი მაღალი კვალიფიციური კადრი დაგჭირდებათ.

– ამაზე ჩვენ ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვიზრუნეთ და მოვახდინეთ არსებული კადრის დატრენინგება, ახალი კადრი კი, რომ იტყვიან, სანთლით მოვიძიეთ. მიუხედავად ამისა მათი დატრენინგება მაინც მოხდება. ისე რომ, ამ მხრივ ჩავარდნა არ გვემუქრება.

ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ პედაგოგთა პერიოდული გადამზადება სავალდებულო გახდა. ყველა პედაგოგი ყოველთვის მზად უნდა იყოს ახალი გამოწვევებისათვის. ამ პროცესს პირადად განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი ხელმძღვანელობს და კურირებს. მაგრამ, ჩვენ დამატებით კერძო კოლეჯების ასოციაციაც გვეხმარება, მათი ძალიან მადლიერი ვართ, ყველგან, ყოველთვის მხარში გვიდგას, ჩვენ ხომ ამ ასოციაციის ნამდვილი წევრი ვართ და ეს ძალიან გვეამაყება.

– ქ-ნო თამარ, მაღალი ხარისხის განათლებისათვის მაღალი ხარისხის ბაზაც დაგჭირდებათ. ინფრასტრუქტურის შესახებ რას გვეტყვით

– შენობა დიდია და მას ჩვენ ყოველწლიურად მაღალ დონეზე ვარემონტებთ. ვახდენთ ლაბორატორიების შევსებას ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით. ჩვენი საგანმანათლებლო ბიზნესი გრძელვადიანია, უცბად არაფერი არ ხდება, ამიტომაც გვაქვს 30 წლიანი აღნაგობის კანონით დადებული ხელშეკრულება საგარეჯოს მუნიციპალიტეტთან. აქამდე შენობის ოთხმოცი პროცენტი უკვე ათვისებულია. წელს კი დავამთავრებთ და ავითვისებთ მთელ შენობას და სპეციალობებსაც დავაკონკრეტებთ: პედაგოგიკა, ექთანი, ფარმაცევტი, ოფისის მენეჯერი, ბუღალტერი, კომპიუტერული ქსელები, ექთნის თანაშემწე. გარდა ამისა განათლების სამინისტრო გვპირდება ისეთი სპეციალობების დაფინანსებასაც, რაც საჭიროა ჩვენი ცხოვრებისთვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით პოპულარული არ არის, მოსახლეობა ამაში ფულის გადახდას გაურბის. მაგ. მეფილეობა, დურგლობა, კალატოზის სპეციალობა, ავტოშემკეთებლის პროფესია და ა.შ.

ამიტომ დაგვჭირდება ეზოში რამდენიმე სახელოსნოს აშენებაც, რაც მოგვიანებით მოხდება.

ჩვენი კოლეჯის მიზანი ის არის, რომ სტუდენტებს სწავლის საკეთესო პირობები შეუქმნას. მე მწამს, როგორც ხარისხის მენეჯერს, რომ თუ სტუდენტს არა აქვს სრულყოფილი სასწავლო გარემო, მაღალი დონის ლაბორატორია შედეგზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ კოლოსალურ ფინანსურ დანახარჯებს არ ვერიდებით და საუკეთესო სახეს ვაძლევთ კოლეჯის შიდა და გარე ინტერიერს. დღეისათვის, სამუშაო გარემო მთლიანად აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ სტანდარტს.

აუდიტორიები დაყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემოდ. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი ყველა აუდიტორიაში, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სხვა ყველა სიახლე, რაც ევროპული დონის სპეციალისტის მოსამზადებლად არის საჭირო.

ახლა კოლეჯი ბრენდირებისათვის ემზადება, იმედი გვაქვს ავიღებთ უმაღლეს 5 ვარსკვლავს ხარისხიანი განათლებისათვის. ამისათვის მთელი კოლექტივი თავგამოდებით იბრძვის.

ბრენდირებული კოლეჯის სტატუსი ჩვენთვის ძალიან მომხიბლავი და საამაყოა.

– ქ-ნო თამარ, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ წელს მოახდინეთ უმუშევართა მომზადება-გადამზადება და დასაქმება სახელმწიფო დაფინანსებით. თუ შეიძლება ორი სიტყვით ამაზედაც გვესაუბრეთ.

– მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამას ახორციელებს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო. მარტო წელს კი არა, გასულ წელსაც მოვახდინეთ გადამზადება და დასაქმება. ამ პროცესში სულ შვიდი კერძო კოლეჯი არის ჩართული, მათ შორის არის ჩვენი კოლეჯიც. გასულ წელს გადავამზადეთ და დავასაქმეთ 33 ბენეფიციარი, წელს ორი ასეთი კურსი განხორციელდება, ახლა, გაზაფხულზე და სექტემბერში. ამისათვის საჭიროა ჩვენმა მოსახლეობამ მიაკითხოს მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს ფილიალსა და დარეგისტრირდნენ. შემდეგ კი დაელოდონ გამოძახებას, რათა მიიღონ შესაფერისი განათლება ჩვენთან უფასოდ, ანუ გაიარონ გადამზადების მოკლევადიანი კურსი, მიიღონ შესაბამისი სერთიფიკატი და მოემზადონ სამუშაოდ.

ეს კარგი შანსია უმუშევართა დასასაქმებლად. საჭიროა ხალხმა ეს იცოდეს და ისარგებლონ სახელმწიფოს მხრიდან გადებული ვაუჩერებით.

ამ განცხადებებს ჩვენი კოლეჯის ვებ გვერდზეც და ფეისბუქის გვერდზეც იხილავს დაინტერესებული ადამიანი. ჩვენ თვითონაც ძალიან ვართ დაინტერესებული, რომ ხალხს შევუმსუბუქოთ სოციალური მდგომარეობა, ამიტომაც ვაქტიურობთ.

– და ბოლოს რას უსურვებთ თქვენს აბიტურიენტებს

– მშვიდობას, ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

და კიდევ დიდი სურვილი მაქვს, რომ შეცდომა არ დაუშვან და იოლად არ მოტყუვდნენ. გამოგვიცხადონ ნდობა, ჩვენ მათ იმ ცხოვრებას ვაზიარებთ, რაზედაც ოცნებობენ.

განცხადება

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2017-2018 სასწავლო წლისათვის მიმდინარე წლის 10 მაისიდან შემდეგ სპეციალობებზე:

1 ბუღალტერია – სწავლების ვადა 1 წელი.

2.ოფისის მენეჯერი – სწავლების ვადა 2 წელი.

3.ექთნის თანაშემწე – სწავლების ვადა 2 წელი.

4.კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი – სწავლების ვადა 1 წელი.

5. ბუღალტერი /მოდულური პროგრამა/ – სწავლების ვადა 2 წელი.

კოლეჯი გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიულ დიპლომს.

სასწავლებელში მუშაობს კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. ყველა დაინტერესებული მსმენელისათვის, ხოლო ჩვენი სტუდენტებისათვის ეს კურსი შედის სწავლის საფასურში, რაზედაც დიპლომთან ერთად გაიცემა კომპიუტერის სერთიფიკატიც.

სწავლა შესაძლებელია წარმოებიდან მოუწყვეტლადაც, ამისათვის მუშაობს მოქნილი, ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი.

კოლეჯში მუშაობს სხვადასხვა მიმართულების განმავითარებელი პროგრამები, რომელზედაც სასწავლებელი გასცემს სერთიფიკატს. როგორებიცაა:

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

2. ბანკის ოპერატორი

3. ფარმაცევტის თანაშემწე

4. პრაქტიკოსი ექთანი

5. უცხო ენის პრაქტიკული გამოყენების კურსი

6. ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული კურსი Oris –ის პროგრამა

7. აბიტურიენტთა მომზადების კურსი (შეთანხმებული ფასებით).

8. სხვა სასურველი სასწავლო კურსი მსმენელისათვის საჭირო პროგრამის მიხედვით.

ყველა აბიტურიენტისათვის და ნებისმიერი მსურველისათვის შესაძლებელია სასურველი სასერთიფიკატო პროგრამის შესწავლა და შესაბამისი სერთიფიკატის აღება. ამისათვის კოლეჯში მუდმივად მუშაობს სპეციალისტ-პროგრამისტთა ჯგუფი.

საგარეჯოს ავტორიზებული კოლეჯის მიერ გაცემული ორი ლეგიტიმური დოკუმენტი – სახელმწიფო პროფესიული დიპლომი და კოლეჯის გერბითა და ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი – ორი პროფესიული სპეციალობის აღიარების დამადასტურებელია.

ამჟამად კოლეჯი იმაღლებს სტატუსს და ავტორიზაციის შემდეგ განახორციელებს IV და V საფეხურის უმაღლეს პროფესიულ პროგრამებს და გასცემს სახელმწიფო უმაღლეს პროფესიულ დიპლომს. ამ სპეციალობებზე მიღება მოგვიანებით გამოცხადდება.

ეს სპეციალობებია:

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (უმაღლესი პროფესიული) „ასოცირებული ხარისხი“

2. ფარმაცევტის თანაშემწე (უმაღლესი პროფესიული)

3. ოფისის მენეჯერი (უმაღლესი პროფესიული)

4. პრაქტიკოსი ექთანი (უმაღლესი პროფესიული) „ასოცირებული ხარისხი“

კოლეჯში მიიღებიან საბაზო და საშუალო განათლების აბიტურიენტები, მათი ასაკი განუსაზღვრელია.

სასწავლებელში სწავლის მსურველმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე.

2. საბაზო ან საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. პირადობის მოწმობის ასლი.

4. ორი ფოტო სურათი 3X4

საბუთების მიღება მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.iliaedu.ge

-mail: iliasagarejo@gmail.com

ტ 995(351) 24-24-36; 555 513-228

მისამართი: ქ. საგარეჯო ლეონიძის ქ.33ა

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru